პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი სამშაბათი 5 მაისი № 103 (18045) ფასი 2 კაპ.

ჩვენი პრესა — ეს არის ყოველდღიური საყოველთაო-სახალხო ტრიბუნა, რომელიც მისაწვდომია თითოეული საბჭოთა მოქალაქისათვის. აქ გულახდილად ლაპარაკობენ ჩვენს სისარულსა და წუხილზე, წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე, ყველაფერზე, რითაც ჩვენ ვცხოვრობთ, რაზეც ვოცნებობთ, რაზეც ვმუშაობთ.

ლ. ბრეჟნევი

5 მაისი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დათვალიერების დღეა! ბოგილოცავთ დღესასწაულს, ამხანაგო თანამოკალმე!



ვ. ი. ლენინი კითხულობს გაზეთ „პრავდას“.

პ. ვასილიევის ნახატი.

შეჯიბრება და პრესა

შრომითი კოლექტივები ყოველ ლ-დღიურად ახალ-ახალ გამარჯვებებს უპატაკებენ სამშობლოს, მათი დევიზია აღნიშნონ მეთერთმეტე ხუთწლედი სამშობლოს კეთილდღეობისათვის დამატებითი ინიციატივიანი შრომით; ისწავლონ, იცხოვრონ, იმუშაონ, იბრძოლონ ლენინურად. ამ დიდ შრომითსა და პრესტიჟურ ალმავლობაში მათ მიუძღვიან კომუნისტები, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში არიან. დიდია შეჯიბრების დამრაზმველი ძალა. შრომითი კოლექტივების საყრილობო სოციალისტური შეჯიბრება უფრო მძლავრად შლის ფრთებს ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

ეი, რა მჩქეფარე ცხოვრების მეხეტყვეა ჩვენი პრესა, ლენინის მიერ დაარსებული, ლენინის პარტიის მიერ ნაზარდი და ნაწრთობი კომუნისტური პრესის ტრადიციებზე აღმოცენებული პრესა, რომლის დღეს — 5 მაისს აღნიშნავს მთელი საბჭოთა ხალხი.

რესპუბლიკის პრესამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინა საყრილობოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდაში. ახლა მთავარია ფართო გაქანება მიეცეს მას ჩვენს დღეებში, როცა ბრძოლაა გაჩაღებული ახალი გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების განსახორციელებლად. გაზეთმა „ტყიბულმა“ კარგი ტრადიცია დამკვიდრა — შემოიღო რუბრიკა „ხუთშაბათი ნოვატორის დღეა“. გაზეთ „ტყიბულში“. ეს დღე ტარდება დევიზით: „ნოვატორებს — ფართო გზა, მათი მუშაობის გამოცდილება გავხადოთ ყველას კუთვნილება“. ნოვატორობა ქმედითმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ შვა, ნოვატორი ამ შეჯიბრების ნაყოფია.

აუცილებელია გაზეთმა ხელი შეუწყოს შეჯიბრების ორგანიზაციის დონის ამაღლებას, მის განვითარებას შრომითი კოლექტივების წინაშე მდგომ ამოცანებთან მჭიდრო კავშირით, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმით შეჯიბრების სამაგალითო ტრადიციების გამოკვლევას, თითოეულ შრომითს კოლექტივში ბეშმარიტი შემოქმედებითი ძიების, ამხანაგური ურთიერთდახმარების, დაკისრებული მოვალეობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფეროს შექმნას.

განსაკუთრებით შესამჩნევია, თუ როგორ აშუქებენ გეგეჭკორისა და ოჩამჩირის რაიონების შრომელთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას გაზეთები „შრომის დროშა“ და „კომუნისტისა“. გამოსარჩევია ამ მხრივ გაზეთი „განახლებული ახაზა“. სოციალისტური შეჯიბრება ამ გაზეთებში აისახება მეგობრული პაექრობის, შეადარისობის, ხაჯროობის, ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ფონზე. „შრომის დროშამ“ სპეციალური გამოშვება უძღვნა თბილისელ ელმავალშენებელთა ინიციატივას — „ლენინური პარტიის ყრილობას — დამკვრელური შრომა, სანიმუშო ყოფა!“, ინიციატივა მოიწონეს და მისი გავრცელების მიზნით რეკომენდაცია მიეცა პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს გამოეცათ ანალოგიური ბიულეტენები.

სოციალისტური შეჯიბრება შრომითს კოლექტივებში გრძელდება დევიზით — ამაღლონ შრომის ნაყოფიერება, ეფექტიანობა და ხარისხი თითოეულ სამუშაო ადგილას; უფრო მაღლა ასწიონ ხუთწლედის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა. აქ დიდ, ჭეშმარიტად სამაგალითო სკოლას წარმოადგენს დდეებითი გამოცდილება, საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების პერიოდში რომ შეიძინეს. ფოლადი და ნავთობი, ქვანახშირი და ცემენტი, ავტომობილი და ელმავალი, ახალი საცხოვრებელი სახლები და სკოლები, პური და ხიბინდი, შეკერილი ნაწარმი და აბრეშუმის ქსოვილი, ჩაი და ღვინო, ხილი და მინერალური წყლები, ხორცი და სუბტროპიკები, — ყველაფერი, რაც ხალხის სახეცოცხლო, საარსებო წყაროს წარმოადგენს მოიპოვება ხალხისათვის შრომით და ოფლით, საგეგმიზე მეტი კი სოციალისტური შეჯიბრების მეთოდით. ამტკიცებს არის საქართველოს სსრ მშრომელთა 1981 წლის სოციალისტურ ვალდებულებებში ჩაწერილი 1980 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში 3,5 პროცენტით, სოფლის მეურნეობაში — 2,8 პროცენტით, მშენებლობაში — 3,5 პროცენტით.

„მაქსიმუმი პროდუქცია — მინიმალური დანახარჯებით!“ — ახალი ინიციატივა დაიბადა ქალაქ ფოთის მიდრომელიორაციის მანქანათსაშენებელ ქარხანაში. ხაქალაქო გაზეთმა „ახალმა კოლხეთმა“, რომ იტყვიან, აიტაცა საწარმოს ეს ინიციატივა და მთელი ქალაქის კუთვნილებად აქცია. გაზეთებმა „ალაზნის განთიადმა“ (თელავი), „მცხეთამ“ და „ოქტომბრის გზით“ (ქარელი) გვიჩვენეს, რომ შეჯიბრება — ეს მუდმივი მოძრაობაა, სიცოცხლეა, ძიებაა, იგი ვერ იგუებს მოდუნებას, ტეხვის შენელებას. შეჯიბრების დღიურები, ვალდებულებათა შემოწმება, ვინ ჩამორჩა, ვინ დაწინაურდა და სხვ.— ასეთი ქმედითი, ოპერატიული რუბრიკები რაზმავენ შრომითს კოლექტივებს შეჯიბრების ახალი მიჯნების მისაწვდომად. სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდაში ვაჟკაცდება, მრავალფეროვნდება, იხვეწება გაზეთი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი პარტიული კომიტეტების ნაკლეს ყურადღებას მიიწევრება ზოგიერთი ადგილობრივი გაზეთის უღიმღამობა, ერთფეროვნება, მოდუნება. გაზეთი გამოდის, მაგრამ არ მოქმედებს, არ ახდენს ზეგავლენას, არ მოუწოდებს, არ მოუხმობს, ერთი სიტყვით, არ მიჰყავს წინ შრომითი კოლექტივები. ჯერჯერობით ასეთია, მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონული გაზეთი „ლენინური გზა“, „ახალი სვანეთი“, ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში გამომავალი მრავალტირაჟიანი გაზეთები.

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შრომელები აღუთქვამენ კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კიდევ უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას, განამტკიცებენ მეათე ხუთწლედში მიღწეულ შედეგებს და მთლიანად 1981 წელს აღნიშნავენ მაღალი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში. მშრომელთა ამ დიდ მოძრაობას მხარი უნდა აუბას საქართველოს მებრძოლმა პრესამ, რომლის უპირველესი მოწოდებაა დაეხმაროს პარტიულ ორგანიზაციას პარტიის, სამშობლოს თავდადებულ ადამიანთა აღზრდაში. თითოეული ჟურნალისტის ვალია, როგორც ეს აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, ყოველი გამოსვლა იყოს ხერიოზული საუბარი ადამიანებთან, რომლებიც ელიან ფაქტებს არა მარტო მართალ და ობერატიულ გადმოცემას, არამედ აგრეთვე მათს დრმა ანალიზსა და ხერიოზულ განზოგადებას. ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიება ინფორმაციის ორგანოების ქმედითობის ასამაღლებლად სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა აქცია ბრძოლაში ბრძოლაში საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის რეგიონალურ ორგანიზაციებში ამას წინათ ჩატარებული შემოქმედებითი სემინარების მთავარი თემა იყო. ამავე ნიშნით მოაწყო გუშინ რესპუბლიკის ჟურნალისტთა ორგანიზაციამ თავისი კავშირის გაფართოებული პლენუმი, რომელზეც დიდი სჯა-ბაასი გაიმართა ამოცანებზე, სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ რომ დაუსახეს მასობრივი ინფორმაციის ორგანოებს.

ჩვენი პრესის, ტელევიზიის, რადიოს, მასობრივი ინფორმაციების საშუალებათა მიერ სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დოკუმენტების პროპაგანდასა და ახსნა-განმარტებაში დღემდე გაწეული მუშაობა მხოლოდ დასაწყისია დიდი და პასუხსაგები ღვაწლისა. მეთერთმეტე ხუთწლედისათვის ბრძოლაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების პროპაგანდაში ჩვენს პრესას დიდი მოვალეობა აკისრია. და ეჭვი არ არის, პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით და შთაგონებით, იგი პირნათლად შეასრულებს ამ მოვალეობას.

საუგარი კრემლში

4 მაისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ფრიდ კრუპის“ კონცერნის საქვთაღუურეო საბჭოს თავმჯდომარე ბ. ბაიეი.

საუბრის დროს დადასტურდა ორივე მხარის მისწრაფება განავითარონ თანამშრომლობა ჰელსინკში მიღებული საბოლოო აქტისა და საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებული შესაბამისი შეთანხმებების სულისკვეთებით. გაიმართა აგრეთვე ეზრთა გაზიარება მთელ რიგ კონკრეტულ პროექტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობის შემდგომ განვითარებას ხანგრძლივი პერსპექტივისათვის, რომელთა განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს „ფრიდ კრუპის“ ფირმამ.

საუბარმა მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

კურტ ვალდჰაიმი მოსკოვში

4 მაისს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი კურტ ვალდჰაიმი.

ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით კონგოს შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, კონგოს სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, სახელმწიფოს მეთაური, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დენი სასუნგესო საბჭოთა კავშირში ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოუძღვება პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას ამა წლის მაისის შუა რიცხვებში.

მშვიდობისა და სოლიდარობისათვის

4 მაისს მოსკოვში გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია „მუშათა კლასი და ანტომოსოფოლისტური ბრძოლის საკითხები“.

კონფერენციაში, რომელიც მოაწყვეს საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინსტიტუტმა, მონაწილეობენ მეცნიერები, საზღვარგარეთის პროფკავშირთა დელეგაციების წარმომადგენლები.

ᲞᲠᲔᲡᲢᲘᲭᲘᲡ ᲔᲛᲑᲚᲔᲛᲘᲗ

პირველი პროდუქცია პრესტიჟის ემბლემით „დამზადებულია თბილისში“ გადმოვიდა თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კონვეიერებიდან. ეს არის საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის აღსანიშნავად გამოშვებული კერამიკა და ბროლი. უფლება, პირველებს დაემზადებინათ ნაკეთობანი, მოიპოვეს წარმოების მოწინავეებმა რ. შაბლევსკიამ და ლ. კუჭავამ. ამ ნაკეთობათა ესკიზები შექმნეს საწარმოს მხატვრებმა გ. ჭიტაჭემ და ლ. ბერიტაშვილმა.

მოიპოვოს მომავალ ხუთწლედში უფლება აღნიშნოს პრესტიჟის ემბლემით მთელი პროდუქცია — ასეთი მიზანი დაისახა კომბინატის კოლექტივმა. მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიღწევისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობენ მუშები, ბრიგადები, საამქროები.

— სანამ პროდუქციას საპატიო ემბლემის მოსაპოვებლად წარვადგენდით, შევისწავლეთ მასზე მყიდველთა მოთხოვნა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საწარმოს დირექტორმა გ. ბუცხრიკიძემ. — გავითვალისწინეთ აგრეთვე საზღვარგარეთის ფირმების შეკვეთები, ნაკეთობათა მონაწილეობა ბაზრობებსა და გამოფენებში.

სოციალისტური შეჯიბრება ასეთი პროდუქციის გამოშვების უფლების მოსაპოვებლად წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლის, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲐᲛᲔᲜᲓᲐ

რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 11 ტრესტის კოლექტივმა საქართველოს უდიდესი — ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკის მშენებლობა დაამთავრა. საწარმოს მოწყობილობა, რომელიც გაისად უნდა გადაცემულიყო საექსპლოატაციოდ, უქმი სვლით აამოქმედეს. დაიწყო მანქანების შემოწმება სამუშაო რეჟიმით.

ცხრა მილიონი ტრიკოტაჟის ნაწარმი წელიწადში — ასეთია საწარმოს სიმძლავრე.

ფაბრიკის გვერდით უკვე აღიმართა მუშათა სახლების კორპუსები, სპორტული ბაღები, ფოსტა, მაღაზიები. მოამზადეს სპეციალისტებიც. 150 კაცი გაივლის სწავლების კურსს ცხინვალისა და ვიტებსკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. ფაბრიკაში ათას ხუთასზე მეტი კაცი იმუშავებს. საწარმოს ამოქმედების მეოხებით გაადვილდება მთიანი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დასაქმების პრობლემის გადაჭრა, შემცირდება მიგრაცია. (საქინფორმი).

ᲐᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲚ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲖᲔ

ᲩᲔᲛᲞᲘ ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროში ხალხმრავლობაა. აქ არიან საწარმოს ხელმძღვანელები, წამყვანი სპეციალისტები, სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტროს წარმომადგენლები. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ საამქროს დატოვებს და ურალისაკენ აიღებს გეზს „ახალშობილი“ ლოკომოტივი-ვლ-11. ერთხელ კიდევ მოწმდება ელმავლის სამუხრუჭო, საეკიპაჟო ნაწილების საიმედოობა, საკონტაქტო მოწყობილობა, ღერძები.

...ჩაირთო ძრავა, გაისმა საყვირის ხმა და მანქანა ნელ-ნელა „გაცურდა“ ქარხნის ტერიტორიიდან. თბილისური ელმავალი ჩვენი ქვეყნის რკინიგზის მაგისტრალზე გავიდა.

— ტრადიციული საყვირის ხმა მარტო გამოსათხოვარი კი არა, მადლობის გამომხატველი სიგნალიც გახლავთ, — გვეუბნება თბილისის ელმავალსაშენებელ ქარხანაში სსრ კავშირის რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტროს ცენტრალური წევის ინსპექციის ხელმძღვანელი გ. ჩიტაიშვილი. მემანქანე მადლობას უძღვნის საწარმოს კოლექტივს, რომელ მაც სოციალისტურ შეჯიბრებაში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია და გრაფიკის გასწრებით დაამზადა ურალის რკინიგზისათვის გათვალისწინებული ლოკომოტივი. სულ მალე იგი ქვეყნის ამ დიდი რეგიონის ტვირთზიდვის „ფერხულში“ ჩაებმება და ბინას სვერდლოვსკის საელმავლო დეპოში დაიდებს. თვით სვერდლოვსკელთა თხოვნით მათი დეპო თბილისური ვლ-11 სერიის ლოკომოტივებით კომპლექტდება. მოსწონთ მათ ქართველ ელმავალმშენებელთა ნახელავი.

სხვათა შორის, ეს ის ვლ-11 გახლავთ, რომლის შესახებაც ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თავის მოხსენებაში ერთი თვის წინათ გამართულ რუსპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე ილაპარაკა. მან სიხანელი გამოთქვა იმის გამო, რომ ლოკომოტივი თავისი ტექნიკური დონით შეესაბამება საბჭოური ელმავალმშენებლობის საუკეთესო ნიმუშებს და სახელმწიფო ხარისხის ნიშანი კი არა აქვს.

— ახლა — განაგრძობს საუბარს გ. ჩიტაიშვილი, — როგორც იტყვიან, ყინული ადგილიდან დაიძრა. ელმავალი მზად არის გამოცდის ფრიადზე ჩასაბარებლად. რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვიდან საატესტაციო კომისია ჩამოვა და საქმეც მოგვარდება. სულ მალე, ალბათ ვლ-11-ს საპატიო ხუთკუთხედი დაამშვენებს.

ქარხანა მეორედ იბადება, მიმდინარეობს მისი გენერალური რეკონსტრუქცია. საწარმოს განახლების დაწყებიდან ათვისებულია თითქმის 20 მილიონი მანეთი. დამთავრდა ექსპერიმენტული, სარემონტო-მექანიკური, მექანიკური, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის საამქროების, 4 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის სასაწყობო და ნაწილობრივ ადმინისტრაციული კორპუსების მშენებლობა. მუშამოსამსახურეთა განკარგულებაშია 100 კაცისათვის გათვალისწინებული პროფილაქტორიუმ-სანატორიუმი, 200-ადგილიანი სასადილო და სხვა ობიექტები.

მიმდინარე წელი სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შესრულების უმნიშვნელოვანესი ეტაპია.

პირველმა ქართულმა ლოკომოტივმა ვლ-8-ამ 1957 წლის დეკემბერში დატოვა საამწყობო საამქრო. ათი წლის შემდეგ — 1967 წლის დეკემბერში საწარმოდან მეათასე ელმავალი გამოვიდა, მაგრამ ახლა უკვე გაუმჯობესებული მოდელის ვლ-10, რომელიც თავის წინამორბედზე 25 პროცენტით მძლავრი იყო. 1977 წელს ქარხნის დაარსების მეოცე წლისთავზე აქ გამოცდას გადიოდა რიგით მეორიათასე ელმავალი ვლ-11. ამ უბადლო ელმავალმა მეათე ხუთწლედში დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ მალე ესეც ვეღარ დაკმაყოფილებს ტრანსპორტის მოთხოვნას. ამიტომაც საწარმოში თადარიგს იჭერენ, მომდინარე ხუთწლედის დამლევისათვის საწარმოში ახალი 12-ღერძიანი მძლავრი ლოკომოტივის ნიმუში შეიქმნება და შემდეგ მისი სერიული გამოშვებაც დაიწყება.

შ. ამაშუკელი.

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ

ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ ტრესტის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ხაბიროელმაიხო ვალდებულებანი. მათ დაამთავრეს ხრამზე რკინიგზის ხიდის, თეთრი წყაროს სადგურისა და მარაბდა-ახალქალაქის მომავალი მაგისტრალის მშენებლებისათვის ორი საცხოვრებელი სახლის სძირკვლების ჩაყრის სამუშაოები.

მათ ვადამდე შეასრულეს იანგარ-ამრეთის დაგალებანი თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში, მაგალითად, ვადაზე 20 დღით ადრე დაამთავრეს დიდი საამქროს მშენებლობა, სოხუმში ააშენეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მომავალი შენობის პირველი სართულები, ხოლო ზესტაფონ-არგვეთის უბანში გაჰყავთ რკინიგზის მეორე ლიანდაგები და სხვ. (საქინფორმი).

ᲛᲮᲐᲠᲡ ᲣᲡᲬᲝᲠᲔᲑᲔᲜ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲡ

საქართველოს კომკავშირის ყველა თაობის ამაღელვებელ გადაძახილად იქცა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გამართული საზეიმო სალამო, რომელიც მიეძღვნა გაზეთების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიისათვის“ სამშობლოს მაღალი ჯილდოების —„საპატიო ნიშნის“ ორდენების გადაცემას.

თავისი მდიდარი ისტორიის ყველა ეტაპზე ორივე გაზეთი მუდამ მათ წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების ერთგული იყო. ისინი მუდამ ედგნენ მხარში იმათ, ვინც იბრძოდა კოლექტივიზაციისა და ინდუსტრიალიზაციისათვის, ცოდნის შუქი შეჰქონდა ახალგაზრდა რესპუბლიკის ყველაზე შორეულ კუთხეებში, აშენებდა პირველ სამრეწველო საწარმოებსა და ჰიდროელექტროსადგურებს, იმეორებდა პირველ სტახანოველთა რეკორდებს. ისინი იმათ ედგნენ მხარში, ვინც დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში იცავდა დიდი ოქტომბრის წმინდა მონაპოვარს, აღორძინებდა ქვეყანას ომისშემდგომი ნანგრევებიდან, გაჰყავდა პირველი ყამირის ხნული, ვინც ღრისეულად განაგრძობდა და განაგრძობს დღეს უფროსი თაობების შესანიშნავ რევოლუციურ, საბრძოლო, შრომითს ტრადიციებს, პატრიოტ-ინტერნაციონალისტთა ტრადიციებს.

ორივე გაზეთის — ჩვენი რესპუბლიკის თანატოლთა სახელოვანმა გზამ სამშობლოს მაღალი შეფასება მიიღო ისტორიული სკკპ XXVI ყრილობის მუშაობის დღეებში, საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის იუბილეს წინ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მისი დარაზმვისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობის გამო გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი“ და „მოლოდიოჟ გრუზია“ დაჯილდოვდნენ „საპატიო ნიშნის“ ორდენებით. მაღალი ჯილდოების გადაცემას მიეძღვნა საზეიმო სხდომა, რომელიც 4 მაისს გაიმართა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ორჯონიკიძემ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს პ. გილაშვილს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით მან გულთბილად მიულოცა რედაქციათა კოლექტივებს, მათს აქტივსა და მკითხველებს მთავრობის მაღალი ჯილდოები, უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებები მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის პასუხსაგებ საქმეში. მჭუხარე ტაშის გრიალში ამბ. პ. გ. გილაშვილმა „საპატიო ნიშნის“ ორდენები მიაბარა „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოჟ გრუზიის“ დროშებს.

საპასუხო სიტყვები წარმოთქვეს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორმა ჯ. ნინუამ და გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორმა ვ. ანასტასიადმ. მათ მხურვალე მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში გაზეთების წვლილის დაფასებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ჯილდოები ეკუთვნის გაზეთის მუშაკთა და მკითხველთა ყველა თაობას, კომკავშირულ ჟურნალისტებს, რომლებიც აგერ უკვე სამოც წელზე მეტია წერენ და საგაზეთო სტრიქონად ასხამენ საქართველოს კომკავშირის ისტორიას. ეს კიდევ ერთი ჯილდოა საქართველოს ორდენოსანი კომკავშირისა, რომლის პრესაც ყოველთვის იყო, არის და იქნება რესპუბლიკის ახალგაზრდების სვეტდადგერი თანამებრძოლი და თანამოაზრე ყველა სახელოვან საქმესა და წამოწყებაში. ორივე გაზეთი კვლავაც აქტიური პოლიტიკური მებრძოლის პოზიციიდან პრინციპულად და კომპეტენტურად გააანალიზებს მწვავე პრობლემებს, პარტიულად შეაფასებს მათ, ყოველ ღონეს ეხმარს, რათა თავისი წვლილი შეიტანოს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ორივე რედაქციის კოლექტივს გულთბილად მიულოცეს ამ გაზეთების ყოფილმა რედაქტორებმა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა გ. ბედინეიშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუპრაძემ, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა პროფესორმა ო. ჭინჭლაძემ.

თანამოკალმეებს გულწრფელად, სულითა და გულით მიესალმნენ გაზეთ „მოლოდიოჟ აზერბაიჯანის“ რედაქტორი ხ. ალიევი, გაზეთ „კომსომოლეცის“ (სოხუმი) რედაქტორი ვ. აიდინიანი, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი ი. ცერცვაძე, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში ტ. ჭანტურია, მწერალი ნ. აგიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პარტიული კომიტეტის მდივანი ნ. ელიზბარაშვილი.

რესპუბლიკის კომკავშირელების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების სახელით ახალგაზრდული პრესის ჟურნალისტებს ყოველივე საუკეთესო უსურვეს მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ ე. თავდიშვილმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტმა ლ. ნადარეიშვილმა, მსოფლიოს ჩემპიონმა მხატვრულ ტანვარჯიშში, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ი. გაბაშვილმა.

ჯილდოების გადაცემას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ჟ. შარტავა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ლ. იაგოდინი.

(საქინფორმი).

ᲙᲐᲠᲚ ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა კარლ მარქსის სახელობის 1981 წლის ოქროს მედლები მიანიჭა აკადემიკოს **პეტრე ნიკოლოზის ძე ფედოსეევსა** და ამხანაგ **გუსტავ პუსაკს.**

კარლ მარქსის სახელობის ოქროს მედალი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდოა და ენიჭებათ თვალსაჩინო მიღწევებისათვის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში.

5 მაისი ბეჭდვითი სიტყვის დღეა

ახალი ამოცანების წინაშე

ხალი შემოქმედებითი მიღწევებით ეგებებიან საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის დღეს აფხაზეთის საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციები.

ავტონომიური რესპუბლიკის პრესის ფურცლებზე ცენტრალური ადგილი დაიკავეს მასალებმა, რომლებიც შრომითს კოლექტივებს რაზმავენ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

„იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შემდეგ აფხაზეთის გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა საგრძნობი ლონისძიებანი განახორციელეს მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით; დიდი ადგილი უკავია მასალებს საბჭოთა ადამიანებზე, მათს ცხოვრებაზე, შრომელთა ლენინური მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდაზე.

საგრძნობლად გააქტიურდა ჩვენთან პრესის ორგანიზატორული საქმიანობა. საოლქო, საქალაქო, და რაიონული გაზეთები კარგად აშუქებენ დამკვრელურ მშენებლობებსა და ასამოქმედებელ ობიექტებს.

გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზია“ რედაქციამ ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხნის, „საბჭოთა აფხაზეთმა“ — ქალაქ სოხუმის საკოლმეურნეო ბაზრის, ხოლო „აფსნი ყაფშმა“ — კინდღის მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობებზე შექმნეს მუშსოფლკორთა საგუშაგოები.

ამ დღეებში აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის ბიუროს სხდომამ განიხილა მნიშვნელოვანი მშენებლობისადმი საოლქო გაზეთების შეფობის საკითხი. რედაქციებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები.

სკკპ XXVI ყრილობის დამთავრებისთანავე ჩვენ გადავხედეთ მუდმივმოქმედი შემოქმედებითი სემინარის გეგმას. ამ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ბეჭდვითი სიტყვის თეორიისა და პრაქტიკის აქტუალურმა პრობლემებმა სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით. ახალი პროგრამით ჩვენი სემინარის მუშაობა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჟურნალისტების ცოდნას, აამაღლებს მათს პროფესიულ ოსტატობას.

ამას ხელს უწყობს აგრეთვე საოლქო გაზეთების რედაქციებში საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქტორებმა და პასუხისმგებელმა მდივნებმა, აპრილის დამდეგს კი ასეთი პრაქტიკა გაიარეს სოფლის მეურნეობის განყოფილებათა გამგეებმა. დაგეგმილია აგრეთვე ახლო მომავალში პრაქტიკა გაიარონ საქალაქო და რაიონული გაზეთების პარტიული ცხოვრების განყოფილებათა გამგეებმა.

ორიოდე წლის წინათ საოლქო გაზეთების „აფსნი ყაფშის“, „საბჭოთა აფხაზეთისა“ და „სოვეტსკაია აბხაზიის“ რედაქციებმა გადაწყვიტეს რეგულარული დახმარება გაეწიათ ადგილობრივი გაზეთებისათვის. ამ მიზნით პრაქტიკაში დანერგილია საოლქო გაზეთების ხელმძღვანელი მუშაკების შეხვედრები და საუბრები ადგილობრივი გაზეთების რედაქციებში. ჩვენ განზრახულია გვაქვს საოლქო გაზეთების პასუხისმგებელი მდივნების საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებში მივლინება გაზეთის მორიგი ნომრების გაფორმების გაუმჯობესების საქმეში პრაქტიკული დახმარების აღმოჩენის მიზნით.

საოლქო გაზეთები რუბრიკით „რაიონული გაზეთების ფურცლებზე“ სისტემატურად აქვეყნებენ მასალებს აქტუალურ საკითხებზე. ჩვენ ვიყენებთ შეფობის ისეთ ქმედით ფორმას, როგორიც არის ერთობლივი რეიდები.

უკვე ხუთ წელზე მეტია ტრადიციად დამკვიდრდა აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაზეთების გაცვლითი გვერდების გამოშვება. ასევე გაცვლითს გვერდებს აქვეყნებენ საქალაქო და რაიონული გაზეთები. ყოველი ასეთი გაცვლითი გვერდი შეჯიბრებაში ჩაბმული რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების მიერ ეკონომიკურ, სოციალურ-კულტურულ მშენებლობასა და მოძმე ხალხების მეგობრობის საქმეში მიღწეული წარმატებების თვალსაჩინო დათვალიერებაა. სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის წინ გამოვიდა აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის გაზეთების გაერთიანებული ნომრები, რომლებიც მკითხველებს მოუთხრობდნენ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელთა საქმიანობაზე.

გაერთიანებული ნომრების გამოშვება გახდა საბაბი სამივე გაზეთის ჟურნალისტთა სახელდახელო შეკრებისა, რომელიც ახლო მომავალში გაიმართება სოხუმში. მისი მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, ისაუბრებენ იმ დიდ მიზანმიმართულ მუშაობაზე, რომელსაც ატარებენ მომძე რესპუბლიკების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პარტიის ყრილობების გადაწყვეტილებათა პროპაგანდის საქმეში.

აღნიშნული გაზეთების რედაქციების გადაწყვეტილებაა გაერთიანებული ნომრები გამოუშვან ყოველწლიურად, ხოლო გაცვლითი თემატური გვერდები— ყოველკვარტალურად. ამჟამად მზადდება გაცვლითი ლიტერატურული გვერდები.

ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებათა საქმიანობაში არის ნაკლოვანებებიც. ჩვენ დიდი მუშაობა მოგვიწევს იმისათვის, რომ გაზეთებისა და ჟურნალების ნომრები საავე იყოს ფაქტების სერიოზული ანალიზითა და განზოგადებით, რაზედაც ვრცლად იყო საუბარი იდეოლოგიურ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირსემინარზე, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს.

ს. კვიწინია,
აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „აფსნი ყაფშის“ რედაქტორი.

საბრძოლო ორიენტირი

პარტიამ საბჭოთა პრესის მუშაკებს დაგვისახა ამოცანა, ფართო პროპაგანდა გავუწიოთ სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებს, გავაცნოთ ისინი თითოეულ კომუნისტს, თითოეულ მშრომელს, მასებზე იდეოლოგიური ზემოქმედების, იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმის მომარჯვებით დავეხმაროთ ისინი ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

„1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდისათვის სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა“ შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებისთანავე გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციამ შეადგინა პროექტის განხილვის მიმდინარეობის გაშუქების, ხოლო ყრილობის დამთავრების შემდეგ მისი დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების პროპაგანდის სპეციალური პერსპექტიული სამუშაო გეგმები, რომლებიც რედაქციის მთელი საქმიანობის მთავარი ორიენტირი გახდა.

ყრილობისათვის მზადების პერიოდში გაზეთმა მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური და პროპაგანდისტული მუშაობის საკითხებზე გამოაქვეყნა 22 წერილი, ხოლო სკკპ XXVI ყრილობის მასალების პროპაგანდის საკითხებზე — 33 წერილი. პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ა. გ. ფარასტაევის წერილში „დასაყრდენი ორიენტირი“ გაშუქებულია სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებიან გამომდინარე ოლქის იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ამოცანები. პარტიის ლენინგორისა და ზნაურის რაიკომების პოლიტიკური განათლების კაბინეტების გამგეები გ. ძებისაშვილისა და ს. მაისურაძის წერილებში ხაზგასმულია ის ორმა ინტერესი, რომლითაც პარტიული განათლების სისტემის სკოლებსა და სემინარებში ეკიდებიან ყრილობის მასალების შესწავლას.

„ძირითად მიმართულებათა“ გამო თავიანთი აზრი გაზეთში გამოთქვეს ცირველადი პარტორგანიზაციების მდივნებმა, რიგითმა კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ინჟინრებმა და მექანიზატორებმა, აგრონომებმა და ზოოტექნიკოსებმა, სახალხო მეურნეობის სხვა სპეციალისტებმა, რომლებმაც მრავალი სინტერესო წინადადება წამოაყენეს ოლქში „ძირითად მიმართულებათა“ პროექტის განხილვის ერთგვარი შეჯამება იყო პარტიის საოლქო კომიტეტის სარეგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორების ჰ. მაწიაშვილისა და ზ. ჯიოევის წერილი „მაღალი რწმენა, ნათელი პერსპექტივა“.

პარტიის დიდი ფორუმების გახსნას მიეძღვნა გაზეთის სპეციალური გაშლილი გვერდები.

ყრილობების დამთავრებისთანავე გაზეთმა აქტიური მუშაობა გააჩაღა. მომზადდა და დაიბეჭდა ანგარიშები ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატების შრომითს კოლექტივებში შეხვედრების შესახებ. ასეთი შეხვედრები ჰქონდათ ამხ. ფ. სანაკოევს, თ. კაბულოვას, ემალსადენის ქარხნის მუშას ს. ფილიევს.

ყრილობის შემდეგ პარტიული ცხოვრების, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტრანსპორტის, კულტურისა და ყოფაცხოვრების განყოფილებებმა მოამზადეს და გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნეს ბევრი უალრესად აქტუალურ თემებზე დაწერილი წერილი, მათ შორის პარტიის ვეტერანთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარის ლ. ჩოჩიევისა — „ვეტერანები მწყობრში რჩებიან“, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის ი. თიბილოვისა— „ჩვენი საბრძოლო ამოცანები“, რომელშიც გაშუქებულია ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ოლქის პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანები.

მკითხველის მოწონება დაიმსახურა „პარტიული ცხოვრების“ რუბრიკით 28 მარტს დაბეჭდილმა განყოფილებამ „დევიზი არ იცვლება: ეფექტიანობა, ხარისხი!“. აქ გამოქვეყნებული იყო მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა — სამკერვალო ფაბრიკის, საქალაქო სამრეწველო კომბინატის პარტორგანიზაციების მდივნების ასიათ ქოქოევასი და ნანული გიგოლაშვილის წერილები და ი. ტოლიამშვილის ჩანახატი „ის ფაბრიკას აშენებს“. განყოფილებაში ლაპარაკი იყო სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებასა და სხვა პრობლემურ საკითხებზე.

გაზეთის ფურცლებზე აქტიურ თემებზე საინტერესო სტატიებს აქვეყნებენ სოფლის მეურნეობის საოლქო და რაიონული სამმართველოების, სოფლტექნიკის საოლქო გაერთიანების ხელმძღვანელები და მთავარი სპეციალისტები, აანალიზებენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვადასხვა დარგის დღევანდელ მდგომარეობას, თავიანთ წერილებში იძლევიან ბევრ სასარგებლო რჩევას, აყენებენ საკითხებს, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს მეურნეობათა რენტაბელობის ამაღლებას. მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებზე „ძირითად მიმართულებათა“ პროექტისა და ყრილობის შედეგების განხილვასთან დაკავშირებით გაზეთში გამოქვეყნდა 62 კორესპონდენცია, სტატია და წინადადება. ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს მუშაკების, ქარხნებისა და ფაბრიკების დირექტორების, ინჟინრების, ეკონომისტების წერილებში მოყვანილია მართვის ორგანიზაციის სრულყოფის, ძირითადი საწარმოო ფონდების, შრომითი, პატერიალური და ფინანსური სახსრების ყაირათიანი გამოყენების, ფონდუკეტების გადიდების, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, პროდუქციისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემები, დასახულია მათი გადაჭრის გზები. ეს ასე ეხმარება გაზეთი ოლქის მშრომელებს წინსვლასა და გამარჯვებაში.

ვ. მაისურაძე
გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორის მოადგილე.

წიგნის თარო

პოეზია—ქართულ. არალეგალურ პრესაში

ახლახან „მერანმა“ რუსულ ენაზე გამოსცა პროფესორ შალვა გოზალიშვილის წიგნი „ქართული რევოლუციური პოეზია“.

წიგნში ავტორი მკითხველებს აცნობს, თუ რა როლი შეასრულეს ბოლშევიკურმა გაზეთებმა „ბრძოლამ“, „ელვამ“, ჟურნალმა „მოგზაურმა“ რევოლუციამდელ საქართველოში იმდროინდელი წყობილების საწინააღმდეგოდ ხალხის დასარაზმავად.

რევოლუციამდელ ქართულ პრესაში აქტიურად მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი პოეტები იროდიონ ევდოშვილი, შალვა შარაშიძე (თაგორნა), ნარკანი (ნიკოლოზ კორდღელაშვილი), ნოე ზომლეთელი, სანდრო ეული, იონა ვაკელი და სხვები.

ქართულ რევოლუციამდელ პრესაში გამოქვეყნებული პოეზიის ბევრი ნიმუში ხალხმა აიტაცა და სიმღერებად აქცია.

„მეორე სიცოცხლე“

ვარშავაში, პოვონზსკის პანთეონში განისვენებს ქართველი გოგონა, თექვსმეტი წლის ირინე სხირტლაძე, რომელმაც თავისი სიცოცხლე ფაშიზმისაგან პოლონეთის განთავისუფლებას შესწირა. ირინე ვარშავის ცნობილი აჯანყების მონაწილეა და დაიღუპა 1944 წლის სექტემბერში. იგი ბრძოლებში გამოჩენილი განსაკუთრებული გმირობისთვის „მამაცობის ჯვრით“ არის დაჯილდოებული.

საიდან მოხვდა ირინე სხირტლაძე პოლონეთში, ვინ იყვნენ მისი ახლობლები და თანამებრძოლები, — ყოველივე ამას გვაცნობს საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის **ლარისა ხუბულურიტაშვილის** წიგნი **„მეორე სიცოცხლე“.**

წიგნი მეორე შევსებული გამოცემაა (რედაქტორი — ლ. ბეროშვილი) და იგი დასტამბა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

„ეკონომისტის“ თაოსნობით

მიმდინარე ხუთწლედში დაგეგმილია საქართველოში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების — ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება გადიდდეს ერთნახევარჯერ და მეტად. ამგვარი ზრდის მიღწევისათვის ნავარაუდევია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ, დაჩქარდეს რესპუბლიკის მთიან რაიონებში განლაგებული მეცხოველეობის მეურნეობების განვითარება.

ამის შესახებ გაიმართა საუბარი ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციაში მრგვალ მაგიდასთან მოწყობილ შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით — სასურსათო პროგრამის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი მიმართულების — უზრუნველყოფას. მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს, გააცნეს ის კონკრეტული ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის წარმატებით შემუშავების მიზნით, პროგრამისა, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე. (საქინფორმი).

ლენინური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მთავარი ორგანო, გაზეთი „პრავდა“ ჩვენი რესპუბლიკისათვის თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის საგაზეთო კორპუსში იბეჭდება.

სურათზე: საოფსეტო საამქროს უფროსი ს. ნათიძე და საგაზეთო კორპუსის უფროსი ჯ. ხაჭაპურიძე ამოწმებენ „პრავდის“ ბეჭდვის ხარისხს.

ს. კილაძის ფოტო.

მიმდინარე ხუთწლედში დაგეგმილია საქართველოში მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების — ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება გადიდდეს ერთნახევარჯერ და მეტად. ამგვარი ზრდის მიღწევისათვის ნავარაუდევია განხორციელდეს მთელი რიგი ღონისძიებები, კერძოდ, დაჩქარდეს რესპუბლიკის მთიან რაიონებში განლაგებული მეცხოველეობის მეურნეობების განვითარება.

ამის შესახებ გაიმართა საუბარი ჟურნალ „ეკონომისტის“ რედაქციაში მრგვალ მაგიდასთან მოწყობილ შეხვედრაზე, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით — სასურსათო პროგრამის გადაჭრის უმნიშვნელოვანესი მიმართულების — უზრუნველყოფას. მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა ჟურნალისტებს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს, გააცნეს ის კონკრეტული ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება რესპუბლიკაში სასურსათო პროგრამის წარმატებით შემუშავების მიზნით, პროგრამისა, რომლის მნიშვნელობა განსაკუთრებით აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე. (საქინფორმი).

ქართველი ხალხი 1921 წლის თებერვლიდან შეუპოვრად დაადგა განახლებისა და აღორძინების ახალ გზას. ახალი, საბჭოური ცხოვრების მოწყობას ესაჭიროებოდა მგზნებარე პროპაგანდისტები, აგიტატორები, ორგანიზატორები. საბჭოთა საქართველოს გარიჟრაჟზე ასე დაიბადა სიღნაღის სამაზრო გაზეთი „ახალი გზა“, რომელსაც შემდეგ „კოლმეურნე“ ეწოდა. გაზეთი მიზნად ისახავდა ებრძოლა ხალხის ინტერესებისათვის და დახმარებოდა მუშებსა და გლეხებს ახალი გზის გაკაფვაში.

განვლილი 60 წლის მანძილზე ჩვენი რაიონისა და მთელი ქვეყნის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც ჯეროვნად არ ასახულიყო ჩვენი გაზეთის ფურცლებზე. ის, მართლაც, ეხმარებოდა ალაზნისა და ივრის ველების მშრომელებს ახალი გზის გაკვალვაში. 20-იანი წლების დასაწყისიდანვე მას პარტიის მართალი სიტყვა მიჰქონდა ქიზიყელთა ქოხებში, რათა ფარფალალა ჩალური ქოხებიდან ნათელ ბინებში გადაენაცვლებინა საკაენეების მანძილზე უსამართლობითა და უმეცრებით გაწამებულ ჩვენს გლეხობას.

გაზეთი ხალხთან ერთად შეურიგებლად იბრძოდა კონტრრევოლუციისა და კულაკობის წინააღმდეგ, იგი ჩირაღდანივით იდგა საკოლმეურნეო მოძრაობის სათავეებთან, აღვივებდა პირველი ხუთწლედების ენთუზიაზმს, განამტკიცებდა სოციალიზმის მონაპოვრებს, ამხნევებდა მკითხველებს დიდი სამამულო ომის ძნელ პირობებში და რაზმავდა მტერზე გამარჯვებისათვის, ომის შემდგომი ხუთწლედების გრანდიოზულ ამოცანთა გადაწყვეტისათვის.

ბევრი დარგი ახლად იშვა, განვითარებამ უჩვეულო მასშტაბებს მიაღწია. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე რაიონში მრეწველობა თითქმის არ არსებობდა, მარტო მეათე ხუთწლედში სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 250 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მეათე, წითელდროშოვანი ხუთწლედი ჩვენი რაიონის სოფლის მშრომელებმა საამაყო წარმატებებით აღნიშნეს. მხვნელ-მთესველებმა სამშობლოს ბეღელში მიტანეს 70 ათას ტონაზე მეტი მარცვლეული და რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველებმა შეასრულეს მისი დამზადების გეგმა. წლითიწლობით რეკორდულ მოსავალს იღებენ რაიონის მევენახეები. მათ მეათე ხუთწლედში სახელმწიფოს ჩაბარეს 195 ათასი ტონა ყურძენი, რაც 107 ათასი ტონით აღემატება მეცხრე ხუთწლედის მაჩვენებლებს.

წინა ხუთწლედებთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა აგრეთვე ხორცის, რძის, კვერცხის, ბაღჩეულ-ბოსტნეულისა და სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება. ახალ, არნახულ დონეს მიაღწია ხალხის განათლებამ და კულტურამ. ყველა ეს წარმატება რაიონის მშრომელთა ღირსეული საჩუქარია საქართველოს კომპარტიის შემქმნისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-60 წლისთავისათვის.

გაზეთი „კოლმეურნე“ მთელი გულით არის ჩაბმული საიუბილეო მზადებაში. იგი სისტემატურად და თანამიმდევრულად აშუქებს იუბილეს აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. გაზეთის ფურცლებზე რეგულარულად გამოდიან რევოლუციის, დიდი სამამულო ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების ნოვატორები, შრომაში ნაწრთობი ადამიანები.

უკანასკნელ წლებში გაზეთი „კოლმეურნე“ უფრო გაბედულად ამხილებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, მის ფურცლებზე გაცილებით უფრო ხშირად ქვეყნდება შემტევი, მებრძოლური სულისკვეთების წერილები.

ჩვენი გაზეთის ავტორები და საგაზეთო მასალების მუდმივი გმირები არიან სოციალისტური შრომის გმირები ვლადიმერ ხუციურაული, მიხეილ ღვედაშვილი, გიორგი კუტიბაშვილი, ზაქარია ჭუჭულაშვილი, ლენინის ორდენსნები ვლადიმერ ჯანიაშვილი, მალხაზ ბეგიაშვილი, დავით ნავრიზაშვილი, ვალერიან ბახტურიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები მანანა ბახუტაშვილი, ნოდარ ალადაშვილი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატები ლევან დოლმაზაშვილი, გიორგი გელაშვილი, ლეილა ჯავახიშვილი, ჯემალ მახაშვილი, მიხეილ ასანიშვილი და სხვები.

ბეჭდვითი სიტყვის წლევანდელი დღესასწაული აღინიშნება სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ნიშნით, როცა ვარძნობთ საბჭოთა საქართველოს მოახლოებული იუბილეს დროშების ფრიალს, როცა ყველგან დამკვიდრებულია ბეჯითი, თავდადებული შრომის ხალისი, ჯანსაღი, ამაღლებული განწყობილება.

ლ. ბეგიაშვილი,
სიღნაღის რაიონულ გაზეთ „კოლმეურნეს“ რედაქტორი.

საბჭოთა საქართველოს თანამტოლი

ციფრებში რეგორდ სარკეში...

გაზეთები

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 141 სახელწოდების გაზეთი გამოდის ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე: ყველა გაზეთის საერთო წლიური ტირაჟი 598.178.000 ცალი.

ამ გაზეთებს შორის რეპუბლიკურია 12, რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 393.796.000 ცალს შეადგენს.

საოლქო გაზეთი გამოდის 7 დასახელებისა, რომელთა საერთო წლიური ტირაჟია 87.500.000 ცალი.

საქალაქო გაზეთია 9, რომელთა საერთო წლიური ტირაჟია 84.626 ცალი.

რესპუბლიკაში გამოდის 66 რაიონული გაზეთი თავ. 71.992.000 ცალი საერთო წლიური ტირაჟით.

მრავალტირაჟიანი გაზეთი აქვს 32 მხნვილ საწარმოს და გაერთიანებას, რომელთა საერთო წლიური ტირაჟია 5.254.000 ცალი.

საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთია 15, რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 485.000 ცალს შეადგენს.

ჟურნალები

ამჟამად საქართველოს სსრ რესპუბლიკაში გამოდის 31 დასახელების ჟურნალი (გარდა ბიულეტენებისა და საუწყებო პერიოდული გამოცემებისა), რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 14.371.000 ცალი.

წიგნები

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში 1921 წლიდან 1980 წლამდე გამოცემულია 96.896 დასახელების წიგნი 528.898.800 ცალი ტირაჟით.

საინტერესოა ვიცოდეთ, რომ ათწლეულების მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში გამოიცა:

1921-1930 წლებში 8.774 დასახელების წიგნი 24.029.000 ცალი ტირაჟით.

1931-1940 წლებში — 13.820 დასახელების წიგნი 65.586.800 ცალი ტირაჟით.

1941-1950 წლებში — 9789 დასახელების წიგნი 44.743 ცალი ტირაჟით (როგორც აქედან ჩანს, დიდი სამამულო ომის შრიფსხვე წლებში საგამომცემლო დარგმაც ბევრი სიძნელე გადალახა, მაგრამ შემდგომ პერიოდში მდგომარეობა არსებითად გაუმჯობესდა).

1951-1960 წლებში 20.252 დასახელების წიგნი გამოვიდა 102.873.700 ცალი ტირაჟით.

1961-1970 წლებში — 23.378 დასახელების წიგნი 142.419.300 ცალი ტირაჟით.

1971-1980 წლებში — 20.385 დასახელების წიგნი 149.778.800 ცალი ტირაჟით.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში წელიწადში გამოდის დაახლოებით 2.250 დასახელების წიგნი, რომელთა საერთო წლიური ტირაჟი 886.900 შეადგენს.

✦✦

ბეჭდვითი სიტყვა ყოველთვის ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის ყურადღების ცენტრში იყო, არის და იქნება. სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ბეჭდვითი სიტყვის შემდგომი გაძლიერების საკითხებს სათანადო ყურადღება დაეთმო.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულ ციფრებში, როგორც სარკეში, მკაფიოდ ასახულია ის დიდი მზრუნველობა, საგამომცემლო საქმიანობისადმი, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დღენიადაგ იჩენდნენ, იჩენენ და მომავალშიც გამოიჩენენ საგამომცემლო საქმიანობისათვის.

შეკრიბა საქართველოს სსრ დამსახურებულმა ბიბლიოთეკარმა, ჟურნალისტმა მრ. ზაქარაიამ.

ახალი ამოცანები

რეკომენდატორია კოლექტივი

მკითხველი ალბათ ინფორმაციის სხვა წყაროებიდან იცნობს მთელი რიგი უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებად საზოგადოებრიობის, შრომელთა კოლექტივების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების აზრის გათვალისწინებით მუშაკთა დაწინაურების პრაქტიკას. ასე მოხდა, მაგალითად, როცა ცენტრალურ კომიტეტს დასჭირდა რესპუბლიკის მთავარმომარაგებაში (სადაც სერიოზული დამახინჯებები და დარღვევები იყო) რაც შეიძლება კომპეტენტური, პატიოსანი და ინიციატივიანი კომუნისტები შეერჩია. უდიდესი პასუხისმგებლობით შეხვდნენ თბილისის ელმავალსაშენებელი და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების კომუნისტები წინადადებას, რომ თავიანთი კოლექტივების წარმომადგენლებისთვის რეკომენდაციები მიეცათ.

მაგრამ მარტო დაწინაურება როდი ხდება ასეთ დემოკრატიულ პრინციპებზე. ამას წინათ საქართველოს მეტეოროლოგიის საშუალებათა ავტომატიზაციის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის სამუშაოდან განთავისუფლებას, ხოლო სამეცნიერო ნაწილში მისი მოადგილის მოხსნას სწორედ საზოგადოებრივი აზრი დაედო საფუძვლად. საკითხი ადგილზე საფუძვლიანად შეისწავლეს და შემდეგ, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე განხილვისას, ბიუროს წევრთა აზრი საესებით დაემთხვა ინსტიტუტის მთელი კოლექტივის აზრს.

უკანასკნელ ხანს ბევრი მუშაკი დაწინაურდა თავისსავე კოლექტიფში სწორედ თანამოსაქმეთა სურვილით და რეკომენდაციით. და ეს ყველაზე სწორიც არის. ვინ, თუ არა, უპირველეს ყოვლისა, გვერდით მომუშავემ, მისივე შრომითი კოლექტივის წევრებმა, ამ კოლექტივის კომუნისტთა ოჯახმა იციან კაცის ხასიათი და მიდრეკილებანი, პატიოსნება და საქმის სიყვარული, დადებითი თუ სუსტი მხარეები. სწორედ ყველა თვისების განსჯითა და პრინციპული დახასიათებით დააწინაურეს პოსტებზე თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნის, მახარაძის აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკის დირექტორები, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენისა და მილსაგლინავი საამქროების უფროსები და მრავალი სხვა.

აი, რას გვეუბნება სტატისტიკა: თბილისში პარტიული ორგანიზაციებიდან, შრომითი კოლექტივებიდან ამ პრინციპით დაწინაურებულ ნომენკლატურულ მუშაკთა რაოდენობა უკვე თითქმის 50 პროცენტია.

მკითხველებიდან ზოგმა ისე არ გაგვიგოს,, თითქოსდა, შეიკრიბება ხალხი და უცვე გადაწყვეტს — ვის რა პოსტი უნდა მიეცეს. თვითონ პიროვნებისთვისაც უხერხული ხდებოდა ასეთი ინფორმაციის ასეთ ფორმას, ჯერ გულდასმით ხდება კანდიდატურის შერჩევა და შემდეგ ამხანაგების სამსჯავროზე გატანა. იყო ისეთი ფაქტებიც, როცა პარტიულმა ორგანიზაციამ, შრომითმა კოლექტივმა პირველად კანდიდატურას მეორე ამჯობინა. ხოლო, როგორც წესი, კანდიდატურების განხილვა ხდება ობიექტურად, მაღალი პრინციპულობისა და გულახდილობის ვითარებაში, რადგან, იციან, რომ, დაწინაურებული ამხანაგების შემდგომი მუშაობისა და მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა თვითონაც უნდა გაინაწილონ.

შესანიშნავი პრაქტიკაა, რომ გარკვეული დროის შემდეგ კოლექტივში დაწინაურებულნი ან სხვაგან წარგზავნილნი, ახალ პოსტზე მუშაობის შესახებ ინფორმაციას აკეთებენ წინანდელ შრომითს კოლექტივებსა და პარტიულ ორგანიზაციებში, რომლებიც, თავის მხრივ, მუდამ ინტერესდებიან, საქმის კურსში არიან, გაართვა თუ არა მათმა რჩეულმა საქმეს თავი.

დიახ, ადამიანს კარგად უნდა იცნობდე. ამ პრინციპმა მოიტანა ბოლო ხანს ესოდენ ბევრი სიკეთე, რადგან ყოველმხრივ შემოწმებულ, კომპეტენტურ, პატიოსან კაცს ნაკლები შეცდომებიც მოსდის. ნომენკლატურულ თანამდებობებზე რეკომენდებულ მუშაკთა პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შესახებ ყოველმხრივი ინფორმირების პრაქტიკაა შემოღებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. კანდიდატურის დახასიათებას საფუძვლად უდევს მის მიერ განვლილი ცხოვრების გზის, მუშაობაში მიღწეული პრაქტიკული შედეგების, კრებებზე, პრესაში მის მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, აგრეთვე მშრომელთა კოლექტივების, სხვადასხვა ავტორიტეტიანი პირის შეხედულებათა შესწავლა, კადრების პირად საქმეებში ჩანს ცენტრალურ კომიტეტში გასაუბრებისას, ბიუროს თუ სამდივნოს სხდომებზე მათი თანამდებობებზე დამტკიცების დროს გამოთქმული შენიშვნები, რჩევა, სურვილები.

ად

საბჭოთა მეცნიერების მიმართვა

თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერებმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ა. პ. ალექსანდროვის მეთაურობით მეცნიერების ყველა მუშაკს მოუწოდეს ყოველი ღონე იხმაროს, რათა ხალხებს თავიდან აიცილონ ბირთვული ომის საფრთხე, დაეხმაროს ადამიანებს ჩასწვდნენ იმ საშიშროების არსს, რომელიც მათ ემუქრება, თავიანთი ნება და ცოდნა მოახმაროს ომშენებლობის საქმის, ქვეყნად ისეთი პირობების დამკვიდრებას, რომლებიც უზრუნველყოფს ახლანდელ და მომავალ თაობათა ღირსეულ ცხოვრებას.

„მსოფლიოს მეცნიერებისადმი“ მიმართვაში ნათქვამია, რომ გამალებული შეიარაღება, მეტადრე ბირთვული გამალებული შეიარაღება, სულ უფრო მეტ გაქანებას იძენს. განიარაღების მოლაპარაკება ერთ ადგილზე გაიყინა ან საერთოდ შეწყდა. ხელმოწერილი ხელშეკრულებანი ძალამოსილად არ ცხადდება. მოქმედ შეთანხმებებსა და მორიგებებს, რომლებიც სამხედრო აქტიურობას აკავებს, თავს ესახიან, მათს განხორციელებას განზრახ აძნელებენ.

მოვლენები თუ კვლავაც ასე განვითარდა, მაშინ ომის საფრთხე, რომელმაც 70-იან წლებში შედარებით იკლო, ახლა განსაკუთრებით დიდ დაღს დაასვამს მსოფლიო მოვლენებს. აქ საქმე ეხება ნამდვილად ყველა ადამიანის საარსებო საჭიროებას, მათი მსოფლმხედველობის, სოციალური მდგომარეობის განსხვავების, ეროვნებისა და კანის ფერის მიუხედავად. ეს ყველამ უნდა შეიგნოს, და აქ თავიანთი მტკიცე, კომპეტენტური სიტყვა უნდა თქვან მეცნიერებმა. (საკედი).

ჟურნალისტთა კონკურსი

„ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად!“ — ასეთია პრესის, ტელევიზიის, რადიოს, კინოს ახალი საკავშირო კონკურსის დევიზი. ამ შემოქმედებითი შეჯიბრების მიზანია პროპაგანდა გაუწიოს და აქტიურად შეუწყოს ხელი სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილების დანერგვას, რომლებიც ასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიციებში.

კონკურსი დაწყებულ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარმა კომიტეტმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის და სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობებმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა. მასში მონაწილეობისათვის მოწვეულნი არიან გაზეთებისა და ჟურნალების, საინფორმაციო სააგენტოების რედაქციები (მათ შორის ფოტოინფორმაციათა რედაქციები), ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტები, კინოსტუდიები.

ეიური გაითვალისწინებს, თუ რამდენად ვრცლად, საქმიანად, შემოქმედებითად აჩვენებენ ჟურნალისტები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მასალების მიხედვით გამოფენის მონაწილე საწარმოების, მეურნეობების, ორგანიზაციების მრავალმხრივ გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს მეთერთმეტე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაჭრას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ამ გამოცდილების პრაქტიკულ დანერგვას, იმას, თუ როგორ იბრძვიან ბეჭდვითი სიტყვის პროპაგანდისტული მუშაობის მაღალი იდეტენიანობისათვის.

კონკურსი „ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად!“ გამოცხადდა ხუთი წლით — 1981-1985 წლების ჩათვლით. ყოველწლიურად შეჯამდება მისი შედეგები და გამოვლინდებიან გამარჯვებულნი. გამარჯვებულად აღიარებულ ჟურნალისტთა კოლექტივებს დაჯილდოვებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებით. მათს თანამშრომლებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დიპლომებთან, ასევე ეძლევა ნებართვა, ეგზიბიტებად ან ფოტოინფორმაციათა ალბომებად ან ფოტოინფორმაციათა ფოტოალბომებად ან ფოტოინფორმაციათა ფოტოალბომებად ან ფოტოინფორმაციათა ფოტო

...და მოხდა ის, რომ...

რუსთაველის თეატრის საგასტროლო დღიურიდან

... და მოხდა ის, რომ...

გაზეთი „მესაჯეროს“ რეცენზენტის ამ ფრაზის დამთავრება ვერც კი მოასწრო ნოდარ გურაბანიძემ, რომ სატელეფონო დიალოგი გენუა-თბილისს შორის შეწყდა. მთავარი კი მაინც ითქვა.

გენუა უკვე მესამე საგასტროლო ქალაქია. ნოდარ გურაბანიძეს ვთხოვეთ გადმოეცა რეჟო-ემილიაში გატარებული დღეების შთაბეჭდილება. — დიდი მოლოდინი ჰქონდათ რეჟო-ემილიაში, — თქვა მან. — „ტეატრო მუნიჩიპალე“, სადაც ხამ დღეს ზედიზედ წარმოვადგენეთ „ცარცის წრე“, სიდიდით არ ჩამოუვარდება ფლორენციის „პერგოლას“. აქაც უამრავი ხალხი დაგვიწყრო. ბილეთები წინასწარ გაყიდულიყო, ზედმეტი სკამებიც კი ჩაედგათ, პირველივე სპექტაკლმა, რომელიც ჩასვლის დღესვე გათამაშდა, არაჩვეულებრივი აღმავლობით ჩაიარა. ტოსკანის მხარის მმართველმა დარბაზობაზე აღიარა, რომ რუსთაველის თეატრმა დაარღვია იტალიელთა ტრადიცია — მაყურებელი სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ჩუმად, უმბაოროდ ტოვებდა ხოლმე დარბაზს, ახლა კი ოვაცია გამართეთ.

საპირველმაისო დღესასწაულის შემდეგ, საღამოს 6 საათზე ქალაქის მერმა დარბაზობა მოაწყო პირდაპირ „კავკასიური ცარცის წრის“ დეკორაციებში — საზეიმოდ გაჩახჩახებულ თეატრში. მერმა იცოდა, საოქტომბრო დღესასწაულის შემდეგ მაისობა ყველაზე დიდი ზეიმი რომ არის საბჭოთა ხალხისათვის და ამიტომ მოგალედ ჩავთვალე თავი ეს დარბაზობა სწორედ 1 მაისს გაგვემართო, — აღნიშნა მან. მერმა დიდხანს ილაპარაკა „ცარცის წრით“ მიღებულ შთაბეჭდილებებზე და განსაკუთრებული მადლობა გადაგვიხადა იმის გამო, რომ ასეთი ხელოვნება დიდი ხანია არ უხილავთო რეჟო-ემილიის მცხოვრებთ. ჩვენი მხრივ წარმოვთქვით სამადლობელი სიტყვები და საჩუქრებიც გადავეცით მასპინძლებს.

2 მაისს ერთადერთი დასასვენებელი დღე ჰქონდა დასს და იგი ჩინებულად გავატარეთ ვენეციაში, რაც შეეხება პრესას, გრძელდება რეცენზიების ბეჭდვა „ცარცის წრეზე“. „გაძეტა და ლორნოში“ რეცენზია ასეა დასათაურებული: „აღგვაფრთოვანა რუსთაველის სახელობის თეატრმა“. დიდი გამოხმაურებაა „რიჩარდზეც“, საყურადღებოა 29 აპრილის „ნაციონე“: — „რიჩარდი კავკასიიდან“ ასეთი ქვესათაურით: რობერტ სტურუას რეჟისურა — რამაზ ჩხიკვაძის გრანდიოზული ინტერპრეტაცია“.

რეცენზია იწყება ასე: „ორი შავი, უზარმაზარი ყვავი, რომლებიც დაძრწიან ლონდონში ციხესიმაგრის გარშემო მსხვერპლის მოსაპოვებლად, ეს არის შექსპირული თეატრის სცენური გამომახსველობის მძლავრი ელემენტი, ეს სწორედ ის თეატრია, რომელზეც ჯერ კიდევ ადრინდელმა პრესამ გაამახვილა ჩვენი ყურადღება. აქ ნათლად ჩანს შექსპირისა და თანამედროვეობის ორიგინალური შეთანხმება. რუსთაველის თეატრმა წარმოადგინა ეს შესანიშნავი სანახაობა „პერგოლას“ თეატრში „ცარცის“ შემდეგ, რომელმაც ეხოდენ აღაფრთოვანა მაყურებელი და ეჯვის ნატამალიც აღარ დაუტოვა არავის თავისი რეჟისორული და აქტიორული ხელოვნების მიმართ. ამიტომაც იყო არნახული ტრიუმფი როგორც სცენაზე, ასევე მაყურებელთა დარბაზში.

თუ პირველად თეატრმა მოგვხიბლა თავისი — „კავკასიურით“, სადაც შესაძლოა ბრეჯტის ტრადიციონალისტებმა ყველაფერი არ გაიზიარეს, აქ საჯოჯმანო აღარაფერია.

სტურუას არ დაურღვევია და არც დაუკარგავს შექსპირის ხული, პირიქით, მან განიცადა და დაუმატა თავისი შეგრძნება დღევანდელი ხაკაცობრიო ცხოვრებისა. ამ გრანდიოზულ სპექტაკლში ორგანულად არის შერწყმული გია ყანჩელის მუსიკა და იური ზარეცკის ქორეოგრაფია. ყოველგვარი იკონოგრაფიული ზრუნვისაგან თავისუფალი, სტურუა ყურადღებით ეპყრობა ბრეჯტის რჩევას და ქმნის მაღალი ხელოვნებით აღბეჭდილ სპექტაკლს, თანაბრად მდიდარს აზრითა და ემოციებით.

მიუხედავად იმისა, რომ რამაზ ჩხიკვაძის რიჩარდი არ არის დეფორმირებული, ყოველი სიტყვა, ყოველი პაუზა, თითოეული ჟესტი, სწორედ ამ დეფორმაციას გამოხატავს. ეს ხელოვნება შექმნილია რამაზ ჩხიკვაძის ინტერპრეტაციის მეშვეობით. ეს მსახიობი ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ წარსულისა და თანამედროვეობის ყველაზე დიდ მსახიობებს. თავისი ექსპრესიის სიძლიერით, ტონის, მიმიკის ინტენსიური ვარიაციებით, რაც შერწყმული სახით წარმოგვიდგება და უმაღლესი რანგის ხელოვნებაშია გამოვლენილი. რამაზ ჩხიკვაძის ყოველი გამოხედვა, მისი კლასიკური გამომსახველობა შინაგან დაძაბულობის ნაყოფი კი არ არის, არამედ გააზრებული და ზუსტი მოქმედებისა, მის გვერდით იყო მრავალი პერსონაჟი ასევე პლასტიკური და გამომსახველი; მათ შორის იშვიათი გარდასახვით წარმოდგენილი ედუარდ ავთანდილ მახარაძისა, რომელმაც დავრდომილის დეგენერაციის ნიღაბი გვიჩვენა. გამოკვეთილი სახეები შექმნეს მედეა ჩახავამ, კახა კავსაძემ, სალომე უანჩელმა, მარინე თბილელმა, გოგი გეგეჭკორმა, ნანა ფაჩუაშვილმა და ახალგაზრდა აკაკი ხიდაშელმა“.

დასკვნა ასეთია: „ჭეშმარიტ თოთხმეტივე ფესტივალის მანძილზე ძალზე ცოტა რამ გვინახავს ამის სადარი“.

შემდეგ ნოდარ გურაბანიძე „მესაჯეროს“ ფურცლებზე დაბეჭდილი რეცენზიის („რუსთაველის აკადემიური თეატრის „რიჩარდ მესამეს“ ახალი შემოთავაზება“) ფრაგმენტს გვთავაზობს:—მასში ლაპარაკია ფლორენციის მე-14 ფესტივალზე ქართული თეატრის ორმაგი წარმატების შესახებ, რაც გამოიხატა „ცარცის წრითა“ და „რიჩარდის“ სახით.

რუსთაველის თეატრის ეს სპექტაკლი მაყურებელს იზიდავს, ძაბავს და აღაგზნებს შეუდარებელი ორიგინალური ინვენტაკორული ცეცხლის წყალობით, რაშიაც საოცარი სიმწვავით იგრძნობა შექსპირის ახალი გაგების დედააზრი, მშვენიერი მიმზიდველი ფორმა, რაც საამწუხაროდ ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე სცენაზე აღარ გვიხილავს. აქ უპირველესად ხიწოების ხაუკეთესო ფორმასთან გვაქვს საქმე. ამ კლასიკურ დადგმაში გარდა რეჟისორის ნიჭისა და მადლისა, ნათლად მოჩანს მსახიობთა უმაღლესი პროფესიული დონე, ოსტატობის სიმწიფე. რამაზ ჩხიკვაძე ბრწყინვალე, შეუდარებელ მსახიობად მოგვევლინა როგორც წინა სპექტაკლში, ისევე მის შეუდარებელ რიჩარდში. მისი ნიღბის ცვლილებადობა საოცრად შემზარავია, იგი საეცხოო ოსტატობით გადმოგვცემს ადამიანის ბოროტ ზრახვათა განხორციელების გზების ძიებას, მისი სიბოროტის, ვერაგობის ხიშმაგის აპოგეას. მსახიობის ვირტუოზული გარდასახვის და აგრესიული იერის წყალობით ჩვენ გავგახსენდა არაჩვეულებრივი მსახიობი პეტერ ლორე მის დიად ფილმში „ფრანცლანდში“. სტურუამ, ჩხიკვაძემ და მთელმა დასმა დამხვწრე ხაზოგადოებას აგრძნობინეს ადამიანის შემოქმედებითი ძალების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. აი, რატომ დაჯილდოვა მაყურებელმა მთელი დასი ხანგრძლივი ტაშით და მოხდა“...

როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, წინადადება შუაზე გაწყდა, მაგრამ საგასტროლო დღიურის შესავსებად ესეც საკმარისია.

წუხელ გენუელები ნახავდნენ „კავკასიურ ცარცის წრეს“.

ნანა ღვინეფაძე.



ი. ლ. ბოცვაძე

მძიმე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1951 წლიდან სკკპ წევრი, პროფესორი იოსებ ლუარსაბის ძე **ბოცვაძე.**

დიდი და უაღრესად შინაარსიანი მოღვაწეობის გზა განვლო ცნობილმა მკვლევარმა და გამოჩენილმა პედაგოგმა, პროფესორმა ი. ლ. ბოცვაძემ.

იგი დაიბადა 1914 წლის 27 ივლისს, ქ. თბილისში. მისი მშობლები იყვნენ სახელმოხვეჭილი პედაგოგები ლუარსაბ და ნინო ბოცვაძეები. პატარა სოსო მათი ხელმძღვანელობით დაეწყო წიგნს, შემდეგაც ყოველთვის გამოირჩეოდა ბეჯითი სწავლით სკოლასა თუ უნივერსიტეტში. 1930 წელს მან დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლა, შემდეგ კი თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკის და ფილოლოგიის ფაკულტეტები.

შრომითი საქმიანობა ი. ლ. ბოცვაძემ დაიწყო 1937 წელს, როცა დაინიშნა თბილისის 91-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1939 წლიდან მან სწავლა განაგრძო საქართველოს სსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის ასპირანტურაში და 1943 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ქართული საბავშვო ჟურნალისტიკის განვითარების გზები“. აქედან მოყოლებული, იგი მუშაობდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში და დამსახურებულად ჰქონდა მოხვეჭილი ბრწყინვალე ლექტორისა და გულისხმიერი აღმზრდელის სახელი.

1943-1945 წწ. ი. ლ. ბოცვაძე ლექციებს კითხულობდა ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1945-52 წლებში იყო სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე და ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. ამავე დროს შეთავსებით ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სახელმწიფო გამომცემლობასაც.

1952 წლიდან ი. ლ. ბოცვაძე თბილისში გადმოდის და სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობს სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. დოცენტი, პროფესორი, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანისა და ჟურნალისტიკის კათედრის გამგის მოადგილე, ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგე — ასეთია მის მიერ განვლილი გზა თავის სათაყვანებელ მშობლიურ უნივერსიტეტში, აქ დაიცვა მან სადოქტორო დისერტაცია და მიიღო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორმა ი. ლ. ბოცვაძემ განსაკუთრებული ამაგი დასდო ჟურნალისტიკის სპეციალობის ახალგაზრდა კადრების მომზადებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამიტომაც იგი დიდი სიხარულითა და ენთუზიაზმით შეხვდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის შექმნას 1979 წელს და მთელ ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა ფაკულტეტის ავტორიტეტის ზრდას.

პროფესორი ი. ლ. ბოცვაძე სამოცზე მეტი გამოკვლევის და ასოცდაათამდე სტატია-რეცენზიის ავტორია. მან გამომაზეურა, სათანადო მეცნიერული შეფასება მისცა ჩვენი გამოჩენილი მწერლების ბევრ უცნობ საარქივო-სამუზეუმო მასალასა და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას; გამოსცა ცნობილ ჟურნალისტთა თხზულებანი და შექმნა უაღრესად საყურადღებო მონოგრაფიები: „ალ. ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ (1956), „ილია ჭავჭავაძე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“ (1958), „სერგეი მესხი“ (1964), „ვაჟა ფშაველა და მისი კრიტიკოსები“ (1965), „ნიკო ლომოური“ (1966), „ნ. ბარათაშვილი და ქართული პრესა“ (1968), „ქართული ჟურნალისტიკა“ (1967), „პრესა და მწერლობა“ (1976), „საუნჯე ერისა“ (1976) და ბევრი სხვა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და სპეციალიზებული საბჭოების წევრი, პროფესორი ი. ლ. ბოცვაძე მუდამ დიდი პასუხისმგებლობით, მეცნიერული კეთილსინდისიერებით ასრულებდა დავალებებს, რასთვისაც მას დამსახურებული ჰქონდა მედლები, სიგელები, მათ შორის ივანე ჯავახიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობისა.

ჯერ კიდევ ენერგიით აღსავსე ბრწყინვალე პედაგოგი და მეცნიერი გამოაკლდა თავისი კოლეგების რიგებს. მის მიერ სახელოვნად განვლილი მოღვაწეობის გზა, მისაბაძი მაღალი ადამიანური თვისებები მუდამ დაუვიწყარი იქნება მეგობრებისა და აღზრდილებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო; თბილისის ზრდის ფოთელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირი.

უმაღლესი ლიგა

თბილისის „დინამომ“ ბაქოში ადგილობრივ „ნეფთჩისთან“ საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტურის მატჩი რომ წაგო (0:1), უკვე ყველამ იცის. წლევანდელი სეზონის ამ პირველ გასვლითს შეხვედრაში მარცხი იმიტომაც არის დასანანი, რომ ბაქოელ მეტოქეებთან შედარებით მაღალი პოტენციური შესაძლებლობანი თბილისელებმა ვერა და ვერ გამოიყენეს. მართალია, იენის „კარლ ციისთან“ შეხვედრამდე დარჩენილ შედასაჩემპიონატო მატჩს ევროპული თასის ფინალისათვის მზადების თვალსაზრისით განვიხილავთ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, თითქოს იოლად უნდა დავიმოთ პოზიციები. ბაქოელებთან შეხვედრის პირველ ტაიმში თბილისელებმა დიდად არ დაიტვირთეს თავი. ასეთი ტენდენცია ხომ პასიურობაზე მიგვახიშებს და არა ეყოდენ პასუხისაგები მატჩისათვის აქტიურ მზადებაზე და თვით ჩემპიონატში წინმავალთა შორის პოზიციის გასამტკიცებაზე.

მეორე ტაიმში საკუთარ საჯარიმო მოედანზე თავიდან რატომღაც ბუთი ხელით დაიჭირა და ეს შეცდომა დინამოელთა კარში 11-მეტრიანი ჯარიმით აღინიშნა. ამას რომ თბილისელთა კარში ალიევის მიერ გატახილი გოლი მოჰყვა, ტელევიზიის საშუალებით ათასობით ფეხბურთის ქომაგმაც იხილა. პირველი ტაიმის შემდეგ სტუმრებმა, მართალია, შედარებით დუხე და უტექმო თამაშს სწრაფი, საიერთო მოქმედების ტაქტიკა ამჯობინეს, არაერთხელ დალაშქრეს კიდეც ბაქოელთა კარი, მაგრამ... ყოველივე ეს გვიანი აღმოჩნდა, მასპინძლებმა შეძლეს საკუთარი კარის საიმედოდ დაცვა, ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება და მეტად საჭირო ორი ქულის მოპოვება.

ამ დღეს „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკლაშვილი), სულაქველიძე (ქვარია), გუცაევი, ყიფიანი, შეხგელია. დუბლიორთა შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა. თბილისელთაგან ბურთი გაიტანა გოგრიჭიანმა.

საერთოდ, შთამბეჭდავი გამარჯვებაც კი გაკვეთილია კოლექტივისათვის, უკეთესი მერმისისათვის განაწყობს ფეხბურთელებს. მით უმეტეს, წაგებამ, თანაც ნაკლებად მოსალოდნელმა, უფრო მეტად უნდა დაგვაფიქროს, მოგვიწოდოს სტაბილური თამაშისათვის, ერთი სიტყვით ისეთი თამაშისათვის, როგორიც მაღალი კლასისა და ევროპაში უკვე რეპუტაციამოპოვებულ გუნდს ეკადრება.

მეშვიდე ტურის დასარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სპარტაკი“-მოსკოვის „დინამო“ — 1:2, „აყაირათი“-მინსკის „დინამო“ — 1:0, „ფახთაქორი“-„ზენიტი“ — 0:1, ასკ-„არარატი“ — 0:0, „შახტიორი“-„ტავრია“ — 3:0, „დნეპრი“-„აყუბანი“ — 0:1, კიევის „დინამო“-„ტორპედო“ — 1:0, „ჩერნომორეცი“-ცსკა — 2:3.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდები ასე არიან განლაგებული:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ კ.	6	4	2	0	8-4	10
„ცსკა“	7	3	3	1	12-8	9
„დინამო“ მ.	7	3	3	1	7-3	9
„დინამო“ თბ.	7	4	0	3	12-8	8
„ტორპედო“	7	3	2	2	7-4	8
„აყუბანი“	7	3	2	2	7-5	8
„აყაირათი“	7	2	4	1	6-4	8
„სპარტაკი“	7	3	1	3	10-8	7
„შახტიორი“	6	3	1	2	8-6	7
„არარატი“	7	2	3	2	6-8	7
„ნეფთჩი“	7	2	3	2	5-7	7
„დინამო“ მნ.	6	2	2	2	6-6	6
„ზენიტი“	6	2	2	2	6-6	6
„ტავრია“	7	2	2	3	5-7	6
ასკ	7	1	3	3	5-12	5
„დნეპრი“	6	1	1	4	3-6	3
„ჩერნომორეცი“	6	1	1	4	4-8	3
„ფახთაქორი“	7	1	1	5	3-10	3

დღეს მერვე ტურის მატჩები გაიმართება, „აყაირათი“ უმასპინძლებს „ზენიტს“, „ფახთაქორი“ — მინსკის „დინამოს“, „ნეფთჩი“ — „არარატს“, „შახტიორი“ — „აყუბანს“, „დნეპრი“ — „ტავრიას“, კიევის „დინამო“ — „ცსკას, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედოს“, ხოლო როსტოვის არმიელთა გუნდი — თბილისის „დინამოს“. დაველოდოთ შედეგებს, იგი ხომ ზემოთმოტანილ ცხრილში გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს.

ჯ. ენუქიძე.

ფეხბურთის ამბები

პირველი ლიგა

2 და 3 მაისს გაიმართა პირველი ლიგის ფეხბურთელთა გაზდების საკავშირო ჩემპიონატის შემდეგი ტურის მატჩები. ამ ჯიბოლაძის ძოხაწილე ქუთაისის „ტორპედომ“ ბაკოლაძეთი ადგილობრივ „ტრაქტორთან“ წაგო — 0:2, ხოლო ლაზარუთის „გურიამ“ კემერიოვში „ლოკომოტივთან“ ფრედ დაამთავრა შეხვედრა — 0:0. ... ხარჩეხი მატჩეი ასე დამთავრდა: იაროსლავლის „შინიკი“-ხიკოლის „კოლოსი“ — 2:0, კოსტრომის „სპარტაკი“-ზაპოროჟიეის „მეტალურგი“ — 1:0, სმოლენსკის „ისკრა“-ივანო-ფრანკოვსკის „პოლარატეი“ — 1:0, ვორონეჟის „ფაკელი“-სტავროპოლის „დინამო“ — 4:1, ვოლნიუსის „ჟალგირისი“-ლვოვის „კარპატი“ — 1:0, ხარკოვის „მეტალისტი“-ორჯონიკიძის „სპარტაკი“ — 3:0, მოსკოვის „ლოკომოტივი“-ოდესის „ა... — 1:0, ხაბაროვსკის ასკ-კიშინიოვის „ნისტრუ“ — 2:0, ვოროშილოვგრადის „ზარია“-ჯიზაკის „ბუსტანი“ — 2:0, კიევის ასკ-დონეცკის „პამირი“ — 1:0. მეოთხე ტურის შემდეგ 10-10 ქულით ლიდერობენ ქუთაისის „ტორპედო“, ოდესის ასკ და ხარკოვის „მეტალისტი“. ლაზარუთის „გურია“, ორჯონიკიძის „სპარტაკი“, კიშინიოვის „ნისტრუ“ და ზაპოროჟიეის „მეტალურგი“ მეშვიდე-მეათე ადგილებს ინაწილებენ — 8-8 ქულა.

მეორე ლიგა

ამ ლიგის მეცხრე ზონის გუნდებმაც მეშვიდე ტურის მატჩები გამართეს. გთავაზობთ შედეგებს: რუსთავის „მეტალურგი“-ხახინიშვილის „არაზი“ — 1:0, თბილისის „ლოკომოტივი“-მინგეჩაურის „ავტომობილისტი“ — 2:1, სამტრედიის „ლოკომოტივი“-აშხაბადის „კოლხეთი“ — 2:0, ფოთის „კოლხეთი“-ლენქორანის „ხაზარი“ — 3:0, სოხუმის „დინამო“-აბოვიანის „კოტაიკი“ — 1:1, ბათუმის „დინამო“-სტეფანაკერტის „ყარაბახი“ — 0:2, გორის „დილა“-ქიროვაბადის „პროგრესი“ — 3:1. 12-12 ქულით დაწინაურდნენ სოხუმის „დინამო“ და აბოვიანის „კოტაიკი“.

არბიტრია რ. ლატანცი

ცხინვალი გახდა, რომ დიუსელდორფში თბილისის „დინამოსა“ და იენის „კარლ ციისს“ შორის ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს მოემსახურებოდა მსაჯთა ბრიგადა, რომელსაც უნელ მძღვანელებს იტალიელი არბიტრი. ლატანცი.

უეფამ დაადგინა

ფლორენციაში (იტალია) გამართა უეფას აღმასკომის სხდომა, რომელმაც დაადგინა, რომ იუნიორ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატი 1983 წელს ინგლისში გაიმართება, 1984 წელს კი — საბჭოთა კავშირში. უეფამ გადაწყვეტა აგრეთვე, რომ 1981-82 წლების ევროპული თასების გათამაშებათა წელსაყრა მოეწყობა 1981 წლის 7 ივლისს ციურიხში.

მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თასების მფლობელთა თასისა (13 მაისს დიუსელდორფში) და ჩემპიონთა თასის (27 მაისს პარიზში) ფინალური მატჩების მონაწილეები შემოწმდებიან, ხომ არა აქვთ მიღებული აღნიშნული მატჩების წინ დოპინგი.

შერჩევითი მატჩები

მსოფლიო ჩემპიონატის ევროპის მეზუთე და მეშვიდე ჯგუფში თითო შეხვედრა გაიმართა. მეხუთე ჯგუფში ლუქსემბურგელები დამარცხდნენ დანიელებთან (1:2), მეშვიდეში — პოლონელებმა დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელები (1:0). მეხუთე ჯგუფში 8 ქულით (8 შესაძლებლიდან) ლიდერობენ იტალიელები. იუგოსლავებს ამდენივე შესაძლებლიდან 6 ქულა აქვთ. მეშვიდე ჯგუფში ერთპიროვნულად ლიდერობენ პოლონელები.

რედაქტორი

გ. ბედინეიშვილი.

თევზის მოკოვების ორგანიზაციების და თევზეერის მოყვარულთა საყურადღებოდ!

შავი ზღვის აუზში თევზერის წესების შესაბამისად, 1 მაისიდან 31 აგვისტომდე სარეწო თევზობა აკრძალულია ყველგან, ფარავნისა და ტბაწყურის ტბების გარდა. თევზერის მოყვარულთ შეუძლიათ ერთი ერთი ანკესით ერთ ნემსკავზე. დაჭერილი თევზის ნორმა არაუფლებს 2 კილოგრამისა მოყვარულ მეთევზეზე, მხოლოდ იმ წყალსატევებში, რომლებიც გადაცემულია მონადირეთა საზოგადოებისა და მონკავშირისათვის: ლისის, კუს, ჯანდარის, სოლიგულის, ჩერტის, იმნათის, გრიგოლეთის, ლეგვანის, კულევის, ჭელიაღელეს, ბებესირის, ნარიონალის, გომარეთის, ბაზალეთის ტბები; თბილისის, ზეთაგუროვის, მართიწყლის და გუმათის წყალსაცავები.

სამოყვარულო თევზერის წესს ადგენს „მონკავშირი“.

საზაფხულო ტოფობის დაცვის ორთვიურის პერიოდში, ივნის-ივლისში სამოყვარულო თევზჭერა იკრძალება აღნიშნულ წყალსატევებშიც.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07926

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

საკლესია და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

4 მაისი

უთანხმოებანი ადმინისტრაციაში

ვაშინგტონი. ამერიკის პრესა **კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს შეერთებული შტატების ადმინისტრაციაში წამოჭრილ უთანხმოებებს.** როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, უმაღლეს ადმინისტრაციულ ეშელონში ახლა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ა. ჰეიგს აქვს ისეთი „მოთამაშის რეპუტაცია, რომელიც ისე მოქმედებს, თითქოს ერთიანი გუნდის წევრი არ იყოს“. თავისი საქციელითა და განცხადებებით მან, გაზეთის თქმით, ადმინისტრაციის სხვა წევრების ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ „ანნადამ თვითონ არ გამოიჩრა ყელი“.

„ეკონომისტი“ დღეებში, აღნიშნავს „ვაშინგტონ პოსტი“, ჰეიგი, ეტყობა მიხვდა თუ რა საფრთხეს უქადის მთელ მის პოლიტიკურ მომავალს იზოლაცია, რომელიც მან გამოიწვია მისწრაფებით ყველაფერში პირველი „ვიოლინო“ ყოფილიყო. პრეზიდენტ რ. რეიგანის ახლო მეგობართან სენატორ პ. ლეტსოლტთან საუზმისას სახელმწიფო მდივანმა აღიარა, რომ საქმე გაიფიუჩა ძალაუფლების ხელში ჩაგდების პრეტენზიებით, და პირობა დადო, რომ გამოასწორებს საქციელს და დამჯერი „გუნდის მოთამაშე“ იქნება, რომელიც თამაშის ყველა წესს დაიცავს. ჰეიგმა თქვა, კარგი იქნება, თუ მისი ეს მისწრაფება პრეზიდენტსაც იცოდინებოთ.

ესეც შენი „თავისუფალი პრესა“

ინგლისის ჟურნალისტიკის „შავ პარასკევად“ მონათლეს ინგლისელებმა ის დღე, როცა ფაქტობრივად არსებობა შეწყვიტა ლონდონის წინანდელმა „ტაიმმა“, ბრიტანეთის პრესის „უხუცესმა“ გაზეთმა, რომელიც ჯერ კიდევ 1785 წელს დაარსდა. იგი რწმენითა და სიმართლით ემსახურებოდა ბრიტანეთ და სიმართლეთ ემსახურებოდა მთელ მსოფლიოს. ამიტომ იყო, რომ მან „გავლენიანი, ავტორიტეტული, დამოუკიდებელი და ობიექტური“ გაზეთის სახელი მოიხვეჭა.

მართალია, „ტაიმსი“ დიდ ფულად მოგებას არ იძლეოდა, მაგრამ „ანადელ საგაზეთო მაგნატს როი ტომსონს, რომელმაც გაზეთი 1966 წელს შეისყიდა, იგი უხილავ, თუმცა დიდ დივიდენდებს აძლევდა: „ტომსონ ორგანიზაციაზე“ შესაძლებლობა ჰქონდა გავლენა მოეხდინა ადამიანებზე, რომლებსაც მეტად პასუხსაგები თანამდებობები ეკავათ სახელმწიფოში. ამასთან ტომსონის საფინანსო ინტერესი, რომელსაც ფესვი მთელ მსოფლიოში აქვს გადგმული და კაპიტალი ნავთობსა და ტურიზმში დაბანდებული, — ადვილად შეეძლო გაზეთის ზარალის ჩამოწერა.

მაგრამ „ტაიმსის“ მფლობელმა ვერ შეძლო თავისი ნება-სურვილი თავს მოეხვია გაზეთის თანამშრომლებისათვის. ისინი გადაწყვეტილ ეწინააღმდეგებოდნენ ადმინისტრაციის გეგმებს წარმოების რეორგანიზაციის თაობაზე, რომელსაც მოჰყვებოდა მასობრივი დათხოვნები და შრომის ინტენსიფიკაცია დამატებითი ხელფასის აუნაზღაურებლად. მბეჭდავთა გაფიცვის შედეგად „ტაიმსი“ 1978-79 წლებში 11 თვეს არ გამოსულა, ხოლო შარშან აგვისტოში პირველად გაზეთის ისტორიაში ჟურნალისტებიც გაიფიცნენ. და აი, ლორდმა ტომსონმა გადაწყვიტა გაზეთი აუქციონზე გაეყიდა.

ვაჭრობა რამდენიმე თვეს გაგრძელდა და საბოლოოდ გაიმარჯვა „ინგლისის ჟურნალისტიკის „შავი პარასკევი“ ●

ჯვა ავსტრალიელმა საგაზეთო მაგნატმა რუპერტ მერდოკმა. მიმდინარე წლის 13 თებერვალს — „შავ პარასკევს“ „ტაიმსი“ შეემატა პრესის, რადიოსა და ტელევიზიის სამყაროში მერდოკის ვრცელ სამფლობელოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ავსტრალიასა და დიდ ბრიტანეთში. ბრიტანეთის კუნძულებზე ამ დროს მას უკვე ეკუთვნოდა საკვირაო გაზეთი „ნიუს ოფ ფორლდი“ და ყოველდღიური „სანი“.

ძნელი წარმოსადგენია ის კონტრასტი, რომელიც არსებობს გაზეთ „ტაიმსის“ თავშეკავებულ სტილსა და მერდოკის ძველ გამოცემებს შორის, რომელთა მთავარი შინაარსია სექსი, ძალადობა, უხამსი ჭორი. მერდოკი არაფერს არ თაალიკობს სენსაციისა და ტირაჟის გადიდებისათვის.

მაინც როგორ მოხდა, რომ ასეთი პიროვნების ხელში მოხვდა „ბრიტანეთის ჟურნალისტიკის მედროშედ“ წოდებული გაზეთი? ვერ იტყვი, რომ მერდოკის განზრახვას — შეეძინა „ტაიმსი“ — წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა მაიკლ ფუტმა განაცხადა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა არ დაეშვა მერდოკის მიერ „ტაიმსის“ შეძენა. ინგლისის პარლამენტის 80-ზე მეტმა წევრმა ხელი მოაწერა მთავრობისადმი მოწოდებას, რომ მერდოკის მიერ „ტაიმსის“ შესყიდვის საკითხი განსახილველად გადასცემოდა მონოპოლიებისადმი კონტროლის სამთავრობო კომისიას.

მაგრამ ამაო იყო აღშფოთებული გენერალური ბეჭდვის „ტაიმსის“ მომავალი ბედის საკითხის განხილვაზე მტკიცე უარი განაცხადა. არსებითად მან ყველაფერი იღონა, რათა გაზეთისადმი კონტროლი მერდოკს დაქვემდებარებოდა. როგორც ჩანს, უკიდურესი რეაქციული შეხედულებები, რომლებსაც მერდოკი თავისი გაზეთების საშუალებით ქადაგებს, ხელს აძლევს ინგლისელ კონსერვატორებს.

ამჟამად დიდი ბრიტანეთის კუნძულებზე პრესას ფაქტობრივად აკონტროლებს სამი კონცერნი: „რედ ინტერნეშნლი“, „ტრაფალგარ ჰაუსი“ და მერდოკის კუთვნილი „ნიუს ინტერნეშნლი“. მასობრივი საშუალებებისადმი კონტროლის ამ მონოპოლიათა ხელში თავმოყრა აფხიზლებს იმათ, ვისაც კი ჯერ კიდევ ოდნავ მაინც სწამდა ბურჟუაზიულ ინგლისში „თავისუფალი პრესის“ არსებობა. სამაგიეროდ ყოველივე ეს სიამოვნებთ შეესაბამება დიდ ბიზნესთან დაკავშირებულ კონსერვატორთა პარტიის ინტერესებს.

რაც შეეხება „ტაიმსის